კომუნისტი



საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 201 (12713)

ოთხშაბათი, 28 აგვისტო, 1963 წ.

ფასი 2 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ღირსეული შეხვედრა ყრილობას!

მაღაროელთა ახალი ზღუდეები

ჭიათურა. (საკ. კორ.). ზესტაფონელი მეტალურგების თაოსნობას ჭიათურელი მაღაროელები კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ.

რვა თვის დავალება პირველმა ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა შეასრულა და სექტემბრის ანგარიშში ათეულ ათასობით ტონა მარგანეცი გაუშვა მეტალურგიულ ქარხნებს.

ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივს კვალდაკვალ მიჰყვებიან ახალი ითხვისის, პერეკეთილის, დიმიტროვის სახელობისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა კოლექტივები. ისინი კარგა ხანია მარგანეცს სექტემბრის ანგარიშში იძლევიან. მაღაროელები ახალ ზღუდეებს უტევენ, საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებენ.

მანქანათმშენებელთა გადაწყვეტილება

ჟუთაისი. (საკ. კორ.). შვიდწლედის მეხუთე წლის პირველი დღეებიდანვე რიტმულად მუშაობს ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი.

ქარხანაში ახალი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია ზესტაფონელ მეტალურგთა თაოსნობამ. მათი გადაწყვეტილებაა:

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის გახსნის დღისათვის — 24 დეკემბრისათვის შეასრულონ წლიური დავალება და გეგმის ზევით გამოუშვან ასი ათასობით მანეთის პროდუქცია;

გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება აამაღლონ 9,6 პროცენტით, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 9,5 პროცენტით;

წლის ბოლომდე დაზოგონ 650 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

ცხრა თვის გეგმა შესრულებულია

ღირსეულად შეხვდეთ საქართველოს კპ XXII ყრილობას, წლიური გეგმა შეასრულოთ თვენახევრით ადრე — ამ დევიზით შრომობს ხაშურის აგურის ქარხნის კოლექტივი და წარმატებასაც აღწევს.

ქარხანამ 19 აგვისტოსათვის შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის დავალება და ახლა პროდუქციას უშვებს ოქტომბრის ანგარიშში. შრომაში დაწინაურდნენ თიხის დამზელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. გელაშვილი, აგურის გამომწველი პ. გოდელოვი, გადმომტვირთავი გ. კაპანაძე და სხვები.

ხაშურელი მეაგურეები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება და მესამე კვარტალის დამლევამდე ქვეყანას დამატებით მისცენ ერთი მილიონი აგური.

დ. ფარემუზოვი.

ვალდებულება — კონკრეტულ საქმედ!

ყოველი დღე ჩვენს ქვეყანაში გმირობის, თავდადებული შრომისა და შემოქმედების დღეა. მაგრამ პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში ჩნდება, იბადება ისეთი დღეებიც, როცა უფრო მეტად აზვირთდება ხოლმე მასების შემოქმედებითი ენერგია, ერთიორად იზრდება ადამიანთა შრომითი აქტივობა. სწორედ ასეთ დღეებს განიცდის ახლა ჩვენი რესპუბლიკა, რომელიც საქართველოს კომუნისტთა მორიგი ფორუმის — საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის შესახვედრად ემზადება.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე თბილისში განაცხადა:

„ჩვენში დამყარდა კარგი ტრადიცია — ყრილობას ვეგებებოდეთ ახალი წარმატებებით, საქმეებითა და გეგმებით.

თქვენს რესპუბლიკას არასოდეს არ უღალატნია და არ უღალატებს ამ შესანიშნავ ტრადიციებს“.

და მართლაც, საქართველოს მშრომელები თავიანთი მებრძოლი ავანგარდის — საქართველოს კომპარტიის უფროსი ყრილობას ხვდებოდნენ ახალ-ახალი შრომითი საჩუქრებით, სახალხო მეურნეობისა თუ კულტურის მთელ რიგ უბნებზე შესანიშნავი გამარჯვებების მოპოვებით.

საქართველოს კომპარტიის მორიგი, XXII ყრილობა, რომელიც მიმდინარე წლის 24 დეკემბერს გაიმართება, პირველი ყრილობა იქნება მას შემდეგ, რაც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა და წესდება, რაც კონკრეტულად შემუშავდა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ფართო და ნათელი პროგრამა. საქართველოს კომუნისტურ პარტიას ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ მებრძოლი რაზმი უწოდა. ამიტომაც ამ მებრძოლი რაზმის წინაშე, მისი თვითეული პირველადი ორგანიზაციის წინაშე მეტად დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას.

რით მივალთ ყრილობაზე, რა გამარჯვებებს ვუპატაკებთ მას? — აი კითხვა, რომელიც დაიბადა თვითეულ საწარმოში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, მშრომელთა ყველა კოლექტივში.

„ღირსეულად შეხვდეთ საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას!“ — ეს ლოზუნგი რესპუბლიკის თითქმის ყველა საწარმოს, მეურნეობის, სამშენებლო ორგანიზაციის კუთვნილება გახდა.

ამას წინათ შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა ზესტაფონის ფეროშენადნობათა ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის რესპუბლიკაში პირველმა გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება და იკისრა ახალი ვალდებულებანი.

ზესტაფონელთა თაოსნობას მხარი დაუჭირეს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო, კომუნისტური შრომის საწარმოს — კერამიკული კომბინატის და ბევრი სხვა საწარმოს კოლექტივებმა. ყრილობისწინა სოციალისტურ შეჯიბრებაში ყოველდღიურად ებმებიან ცალკეული საამქროები, უბნები, ბრიგადები, ცვლები, რიგითი მუშები, მეშახტეები, მაღაროელები, მშენებლები, ყველა პროფესიის ადამიანები.

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის შესახვედრად ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკის სოფლებშიც. სიღნაღის საწარმოო სამმართველოს ჯაფარიძის კოლმეურნეობის წევრებმა გადაწყვიტეს სამი-ოთხი თვით ადრე შეასრულონ სახელმწიფოსათვის შეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები, მნიშვნელოვნად გაზარდონ მარცვლეულისა და სხვა კულტურების მოსავლიანობა. ჯაფარიძელ კოლმეურნეებს მხარი დაუჭირეს წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს სოფელ კურსების და სხვა კოლმეურნეობებმა.

ვალდებულებების აღება უთუოდ კარგი საქმეა. მაგრამ მთავარი კი ის არის, რომ თვითეული სიტყვა, მშრომელთა ყოველი დაპირება მუდამ იქცეოდეს კონკრეტულ საქმედ.

ამ დღეებში ახალ-ახალი სასიხარულო ცნობები მოდის ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებიდან და სოფლებიდან. საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის შესახვედრად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებმა — ზესტაფონელმა მეტალურგებმა — სიტყვა არ გატეხეს და 20 აგვისტოს შეასრულეს ფეროშენადნობთა გამოდნობის რვა თვის დავალება, დაზოგეს რვა მილიონზე მეტი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლა გრძელდება.

ვადაზე რვა დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის ამოღების 8 თვის საწარმოო გეგმა ტყიბულის ქვანახშირის ტრესტმა. სიტყვას არ ტეხენ საქართველოს მეჩაიეები, რომლებმაც წელს უკვე მოკრიფეს გაცილებით მეტი „მწვანე ოქრო“, ვიდრე შარშან ამავე პერიოდისათვის წლიური გეგმა გაანადღეს წყალტუბოს, ცხაკაიას, სამტრედიის, ზესტაფონის, საჩხერის, მაიაკოვსკის და ხულოს საწარმოო სამმართველოთა მშრომელებმა. მთელ რესპუბლიკაში დასასრულს უახლოვდება ჩაის კრეფის წლიური გეგმის შესრულება.

წარმატებით შრომობენ რესპუბლიკის მეცხოველეები, მემინდვრეები, მევენახეები. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა, მთელი რიგი მეურნეობები მნიშვნელოვნად ზრდიან მარცვლეულისა და სხვა კულტურების წარმოებას.

ეს კარგია, სასიხარულოა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრგან შესამჩნევია უძრაობა, ნაკლები სწრაფვა ზრდისაკენ, წარმატებისაკენ. ზოგან კი სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებებს ადგენენ ფორმალურად, თავიანთი შესაძლებლობის გაუთვალისწინებლად. წარმოების ბევრ ხელმძღვანელს, პარტიულ მუშაკს, ამა თუ იმ კომუნისტს ავიწყდება, რომ „სიტყვა უსაქმოდ მკვდარია“, რომ საჭიროა პრაქტიკულად ყოველდღიურად ეხმარებოდნენ თვითეულ მშრომელს, რომელმაც ვალდებულება იკისრა, ამ ვალდებულების განადღებაში. წარმოების ხელმძღვანელებმა, კომუნისტებმა მთავარი ყურადღება უნდა დაუთმონ ახალი რეზერვების გამოვლინებას, შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელებასა და დანერგვას, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

რა თქმა უნდა, რესპუბლიკის მშრომელთა შესანიშნავი მიღწევები მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში ვერ დაფარავენ მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებს. ბევრი საწარმო არარიტმულად მუშაობს, გეგმას ვერ ასრულებს, წუნდებულ პროდუქციას უშვებს. ზოგიერთი საწარმოო სამმართველოს მეურნეობებში გაჯიანურეს მოსავლის აღება, არ იყენებენ ხელსაყრელ პირობებს მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად და სხვ. ბევრ საწარმოო სამმართველოში არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან ჩამორჩენილ მეურნეობათა ეკონომიკის ასამაღლებლად.

ყოველი დღე გვაახლოებს ყრილობის გახსნის თარიღს. ოთხ თვეზე ნაკლები დარჩა ამ დრამდე. ახლა განსაკუთრებით საჭიროა განუწყვეტლივ აკამაღლოო ყრილობისწინა სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის დონე. სოციალისტური შეჯიბრების სული და გული, მისი ორგანიზატორები ყველგან, მშრომელთა ყველა კოლექტივში უნდა იყონ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები. მათი ამოცანაა ყველგან შექმნან შემოქმედებითი ძიებისა და შრომითი აქტივობის ატმოსფერო.

ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით შესრულება — აი ყველაზე კარგი საჩუქარი საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი ბრიონის კუნძულზე

ბრიონი. 27 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტები დ. ბოჩაროვი და ი. ტიტოვი იუწყებიან:

გუშინ საღამოს ნ. ს. ხრუშჩოვმა და იოსიპ ბროზ ტიტომ თავიანთ მეუღლეებთან ერთად იახტ „პოდგორიკით“ გაისეირნეს ისტრიის სანაპიროს გასწვრივ. მათ დაათვალიერეს ლიმის არხი. შემდეგ „პოდგორიკმა“ ნელა ჩაუარა ნაპირს როვინიასა და პორეჩას ლამაზ რაიონში. ადგილობრივი მცხოვრებლები და ტურისტები, რომლებიც ამ დროს ნაპირზე იყვნენ, გულითადად მიესალმნენ საპატიო სტუმრებსა და პრეზიდენტ ტიტოს.

მოგვიანებით თეთრ ვილაში ბრიონის კუნძულზე საბჭოთა სტუმრებს უჩვენეს იუგოსლავური მხატვრული ფილმი „ეოზორა“, რომელიც ოქროს პრიზით დაჯილდოვეს ამას წინათ მოსკოვის III საერთაშორისო კინოფესტივალზე.

იუგოსლავიის ცენტრალური გაზეთები კვლავ ფართოდ აშუქებენ ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნას ბრიონის კუნძულზე. გაზეთი „ბორბა“, რომელიც აქვეყნებს ცნობებს გუშინ დაწყებულ მოლაპარაკებაზე, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობდა მეგობრობის, გულახდილობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

ელექტროავტომატელთა ვალდებულებანი

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივის წერილს მხურვალედ დაუჭირეს მხარი თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ მუშა-მოსამსახურეებმა, მათ მეტალურგების მაგალითისამებრ გადაწყვიტეს ახალი შრომითი საჩუქრები მოუმზადონ საქართველოს კპ XXII ყრილობას.

კოლექტივმა გადასინჯა თავისი შესაძლებლობანი და იკისრა ახალი, გადიდებული ვალდებულებანი:

საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულოს 25 დეკემბრისათვის და წლის ბოლომდე ქვეყანას მისცეს 100 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია;

პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 30 ათასი მანეთით;

შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდოს 1,5 პროცენტით.

იკისრა რა ეს ვალდებულებები, ქარხნის კოლექტივი მონდომებით შეუდგა მათ შესრულებას. გუშინ ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების ერთი დღის დავალება 108,4 პროცენტით გაანაღდა და გეგმის ზევით რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

კომუნისტური შრომის დამკვრელთა რესპუბლიკური შეკრება

ერევანი, 23 აგვისტო (საკდესის კორ.). სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა 130 ათასი მუშაკი, მოსამსახურე, საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის მინდვრების მშრომელი მონაწილეობს სომხეთში კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში. მათგან საუკეთესოები შეიკრიბნენ გუშინ შეკრებაზე.

მოხსენება — მომავლის მკლევართა მოძრაობის მონაწილეთა წინაშე მოგარი ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით — გააკეთა სომხეთის პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ს. ვ. არაქელიანმა.

„მომავალი იწყება დღეს“ — ეს აზრი ნათელ ზოლად გასდევდა ყველა გამოსვლას შეკრების ტრიბუნიდან. სიამაყით წარმოთქვამდნენ იმათ სახელებს, ვინც ნამდვილი შუქურა გახდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ახლა რესპუბლიკაში არის კომუნისტური შრომის შვიდი ათასზე მეტი დამკვრელი. საპატიო წოდებას ღირსეულად ატარებს 6.600 საამქრო, ცვლა, ბრიგადა, ფერმა.



ყუიბულის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივი წარმატებით ასრულებს საწარმოო დავალებას. შახტში კარგად მუშაობს მნგრეველთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ბ. ჩაფიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადის წევრები ყოველდღიური გამომუშავების ნორმას სისტემატურად 115-120 პროცენტით ასრულებენ. სურათზე: მნგრეველთა კომუნისტური შრომის ბრიგადა (მარცხნიდან მარჯვნივ): ა. ჩაჩანიძე, შ. გვეტაძე, ბრიგადირი ბ. ჩაფიძე, ნ. მიხაილოვი და გ. მოდებაძე მუშაობის დაწყების წინ.

ფოტო გ. გერსამიასი (საკდესის ფოტოქრონიკა).

მგრძელდება მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერა

27 აგვისტოს მოსკოვში გრძელდებოდა ხელმოწერა ხელშეკრულებისა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

თავიანთ მთავრობათა სახელით ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს:

ლიბერიის ელჩმა საფრანგეთში ჯოზეფ დადლი ლოუერენსმა,

მაროკოს ელჩმა სსრ კავშირში აბდელკადერ ელ ფასიმ.

27 აგვისტოსათვის მოსკოვში ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 73 ქვეყნის რწმუნებულებმა. (საკდესი).

სსრ კავშირსა და იორდანიას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების გამო

ბეიროუთი, 27 აგვისტო. (საკდესი). როგორც ამანდან იტყობინებიან, გუშინ იქ დაბრუნდა მეფის კარის მინისტრი ხაზემ ნუსეიბი, რომელმაც იორდანიის მთავრობის სახელით ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ, აგრეთვე აწარმოებდა მოლაპარაკებას მოსკოვში იორდანიასა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

ამაზრი ჩასელის შემდეგ ნუსეიბი მიიღო მეფე ჰუსეინმა, რომელსაც მან წარუდგინა მოხსენება ორივე ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების თაობაზე მოლაპარაკების შესახებ.

იუწყებიან აგრეთვე, რომ იორდანიის პარლამენტმა მხარი დაუჭირა მთავრობის ღონისძიებებს სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად. სენატის თავმჯდომარის მოვალეობის შემასრულებელმა მუჰამედ ალი შაბრიმ ამ შემთხვევის გამო მადლობის დეპეშა გაუგზავნა მეფესა და მთავრობას.

შევქმნათ პირუტყვის საკვების ორი წლის მარაგი

შეუწყნარებელი ჩამორჩენა გრძელდება

ჩვენი მიმოხილვა

წელს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა 191.606 ჰექტარი ბუნებრივი და ნათესი ბალახი უნდა გათიბონ. 25 აგვისტოსათვის აღნიშნული სამუშაო უკვე შესრულებულია 236.432 ჰექტარზე.

ბევრმა საწარმოო სამმართველომ, როგორიც არის თელავის, ყვარლის, სიღნაღის, დუშეთის, საჩხერის, გარდაბნის, წყალტუბოს, თეთრი წყაროს, გორის და სხვა სამმართველოები, დიდი გადაჭარბებით შეასრულა თივის დამზადების დავალება.

გუშინ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომელი ტელეფონით ესაუბრა გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტის საწარმოო სამმართველოს უფროსს ამხ. დ. შარაშიძეს, რომელმაც განაცხადა: წელს საბჭოთა მეურნეობებში იმდენი ბალახია, რომ ბევრგან პირუტყვისათვის ორი წლის მარაგი შექმნეს. სამმართველოს გეგმით უნდა დაემზადებინა 17.597 ტონა თივა, ფაქტიურად მომარაგებულია 25.153 ტონაზე მეტი. მარტო რაიონის პირუტყვის საკვებს მომარაგებისათვის რიდი ეზრუნავთ. ჭარბ საკვებს ვაძლევთ სხვა რაიონებს. მაგალითად, გარდაბნიდან საკვები მიაქვთ მახარაძის, ცხაკაიასა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სიმინდის დასილოსება. უკვე დავასილოსეთ 10 ათას ტონაზე მეტი. გათვალისწინებული გვაქვს 8 სექტემბრამდე სულ დავასილოსოთ 59.800 ტონა საკვები. ჩამორჩენა გვაქვს ნამჯის მოგროვებაში. გეგმით გათვალისწინებული 14 ათასი ტონიდან დამზადებულია მხოლოდ 6 ათასი ტონა. მაგრამ ამას სულ მალე გამოვასწორებთ.

როგორც უკანასკნელი ცნობებიდან ირკვევა ხაშური, ზესტაფონის, ახალქალაქის, ამბროლაურის, მაიაკოვსკის, სამტრედიის, ლანჩხუთის, მახარაძის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ზუგდიდის საწარმოო სამმართველოებმა, აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა ბუნებრივი და ნათესი ბალახის მოსავლის აღების გეგმა ვერ შეასრულეს.

რესპუბლიკაში მარცვლეული კულტურები აღებულია 200.604 ჰექტარი ნაცვლად 261.513 ჰექტარისა. ამ მხრივ ყველაზე მეტი — 45.426 ჰექტარი ასაღები აქვს სიღნაღის საწარმოო სამმართველოს, ეს სამუშაო შესრულებულია 96,3 პროცენტით.

ცუდია ის, რომ მოსავლის აღებასთან ერთად ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ნამჯის მოგროვებასა და დაზვინვას. აღებული მოსავლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აქ 90 ათას ტონაზე მეტი ნამჯა უნდა ჰქონდეთ დაგროვებული. ფაქტიურად მოღებულია მხოლოდ 21.459 ტონა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ დანარჩენი ნამჯა მოუგროვებელი და დაუზვინავია.

ბოლნისის რაიონში აღებული 22.549 ჰექტარიდან სულ მცირე 33.600 ტონა ნამჯა უნდა მიეღოთ. ფაქტიურად 7.096 ტონა დაუმზადებიათ. როგორც ჩანს, დანარჩენი ნამჯა მინდორში აუღებელია. მსგავსი ფაქტებია თელავის, დუშეთის, ხაშურის და სხვა საწარმოო სამმართველოებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

ახლა სილოსის ჩადების გადამწყვეტი დღეებია. რესპუბლიკაში მიმდინარეობს სიმინდის დასილოსება. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ თეთრი წყაროს და სიღნაღის საწარმოო სამმართველოებში.

მაგრამ გურჯაანის საწარმოო სამმართველოში სიმინდი დასილოსებულია მხოლოდ 838 ტონა, გეგმის 1,1 პროცენტი. ასევე უმნიშვნელო რაოდენობით არის შესრულებული სიმინდის სილოსის დამზადების გეგმა გორის, მაიაკოვსკის და სხვა რაიონებში, ხოლო ხაშურის, დუშეთის, ახალქალაქის, სამტრედიის, ლანჩხუთისა და ზოგიერთ სხვა საწარმოო სამმართველოებს ეს სამუშაო 25 აგვისტოსათვის დაწყებულიც არ ჰქონდათ.

საწარმოო სამმართველოების პარტიული კომიტეტების, საწარმოო სამმართველოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების უპირველესი მოვალეობაა გადამჭრელი, ქმედითი ღონისძიებები განახორციელონ, რომ აუღებელი არ დარჩეთ არც ერთი ტონა თივა, ნამჯა, სასილოსე მასა.

ამიერკავკასიის მებოსტნეთა თათბირი-სემინარი

ბაკო, 27 აგვისტო. (აზადესის სპეც. კორ.). დღეს კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზის“ კულტურის სახლში მუშაობა დაიწყო საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მებოსტნეთა თათბირმა-სემინარმა, რომელიც მოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიურომ.

თათბირი-სემინარი მიეძღვნა პრაქტიკული და მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გამოცდილების გაზიარებას, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში შებოსტნეობის შემდგომი აღმავლობის გზებს.

თათბირს ესწრებიან აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მეცნიერები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, მებოსტნეობის ნოვატორები, პარტიული და სამეურნეო მუშაკები.

მოკლე შესავალი სიტყვით თათბირი-სემინარი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს ინსპექტორმა ა. ა. კულიკოვმა.

მოხსენებანი მებოსტნეთა ამოცანები და მებოსტნეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები ამიერკავკასიის რესპუბლიკებში — წაიკითხეს აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ა. სეიდოვმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის სამმართველოს უფროსის მოადგილემ გ. მ. ბადრიშვილმა, სომხეთის სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოადგილემ ს. მ. კარაგიოზიანმა.

მოხსენებათა გამო დაიწყო კამათი.

თათბირი-სემინარის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პ. მ. ელისტრატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი მ. ბ. პიორუნსკაია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს ინსპექტორი ვ. გ. სეროპიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის სახელმწიფო ინსპექტორი ს. ა. ნაზაროვი.

თათბირი-სემინარი განაგრძობს მუშაობას.

რუმინელი მეგობრები თბილისში

ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების 19 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მოწვევით საბჭოთა კავშირში სტუმრად არის რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია, რომელიც ჩამოვიდა იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღოს ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების 19 წლისთავის ზეიმში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტის თავმჯდომარის მოადგილე, რუმინეთის საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საზოგადოების გენერალური საბჭოს ბიუროს წევრი ოქტავ ლივეზიანუ (დელეგაციის ხელმძღვანელი), რუმინეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს კულტურის განყოფილების გამგე ონიგა ნიოლაე, რუმინეთის საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საზოგადოების უცხოეთის განყოფილების გამგე სპირიდონ ბულეტე, მწერალი ივანე ალექსანდრუ გილეე. დელეგაციას ახლავს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მრჩეველი გეორგე კოლცი.

დელეგაცია იყო მოსკოვსა და კიევში, 26 აგვისტოს დილით კი თბილისში ჩამოვიდა. დღისით რუმინელი სტუმრები გაეცნენ ქალაქის საწარმოებსა და ღირსშესანიშნაობებს, იყვნენ მცხეთაში.

საღამოს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში ვიმბარა რუმინელი ხალხის ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო. აქ შეიკრიბნენ საზოგადოებრიობა და მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები.

საღამო გახსნა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარემ ვ. ბერიძემ, რომელმაც ილაპარაკა რუმინელი და ქართველი ხალხების კულტურული ურთიერთობის შესახებ, აღნიშნა, რომ ქართველი და რუმინელი ხალხების მეგობრობას დიდი ხნის ისტორია აქვს.

რუმინელი და ქართველი მეცნიერებისა და სპეციალისტების მტკიცე ურთიერთობის შესახებ ილაპარაკა რუმინეთის დიდი მშენებლობის — ბიკაზის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მონაწილე ინჟინერმა პ. წულუკიძემ. რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს უფროსმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა პ. წერეთელმა შეკრებილთა უამბო რუსთაველი და რუმინელი მეტალურგების მეგობრობის, ქართველი მეტალურგების ჯგუფის რუმინეთში ყოფნის შესახებ. ეს ჯგუფი რუმინეთში მიწვეული იყო იმისათვის, რომ მონაწილეობა მიეღო ქალაქ რომანის მეტალურგიული ქარხნის ამუშავებაში.

იმ ქართველი სტუდენტების შესახებ, რომლებიც წარმატებით სწავლობენ რუმინელ ენას, ქართულ ენაზე რუმინეთის კლასიკოსთა და თანამედროვე პოეტთა და მწერალთა ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნის შესახებ, ყოველივე იმის შესახებ, რაც ჩვენს რესპუბლიკაში კეთდება რუმინელი ხალხის ეკონომიკისა და კულტურის მიღწევათა პოპულარიზაციისათვის სტუმრებს მათ მშობლიურ ენაზე უამბო თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელმა ფ. ჯინჯიხაშვილმა.

პოეტმა გ. აბაშიძემ წაიკითხა რუმინელი პოეზიის კლასიკოსის მიხაილ ემინესკუს ლექსის თარგმანი.

რუმინეთის დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოთქვა ოქტავ ლივეზიანუმ, მან ილაპარაკა რუმინელი ხალხის სახელოვანი გზის შესახებ განვლილი 19 წლის მანძილზე, იმ უდიდესი როლის შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეასრულა ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების საქმეში.

— ყოველივე ამისათვის ჩვენ მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირს, ქვეყანას, რომელიც როგორც ჩირაღდანი გზას უნათებს ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ყველა ხალხს, ქვეყანას, რომლის მეცადინეობით შესაძლებელი გახდა გადადგმულიყო ნაბიჯი მშვიდობისათვის ბრძოლაში — დადებულიყო ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

საღამოს დასწრნენ ამხანაგები დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუნძე (საკდესი).

ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒ ᲨᲔᲕᲬᲐᲠᲘᲗ

• ᲛᲘᲫᲦᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲡᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲠᲘᲡ •

ᲞᲘᲠᲘᲡ ᲮᲘᲝᲑᲐᲨᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘᲐ ᲛᲗᲘᲡ ᲣᲑᲔ-ᲙᲐᲚᲗᲔᲑᲡ ᲨᲔᲤᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘᲐ ᲒᲝᲠᲐᲜᲐ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲠᲐᲛᲘᲢᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ.

ᲒᲝᲠᲐᲜᲐ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲗᲐ ᲨᲔᲤᲘᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲥᲘᲓᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲩᲐᲡᲚᲘ ᲔᲠᲗᲬᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲓᲠᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲐᲮᲔᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲓᲦᲐᲪ ᲘᲜᲘᲡᲤᲔᲠ ᲜᲘᲚᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲙᲐᲠᲒᲔᲑᲐ. ᲔᲠᲗᲬᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲦᲛᲐ ᲡᲐᲑᲐᲓᲣᲠᲘᲡ ᲣᲦᲠᲐᲜᲘ ᲙᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ — ᲐᲭᲝᲩᲠᲘᲚᲘ ᲘᲕᲠᲘᲡ ᲮᲔᲠᲮᲘ.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲚᲣᲛᲘᲜᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲝᲠᲐᲜᲐ ᲓᲐᲛᲘᲗ ᲣᲬᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠ ᲒᲘᲛᲡ ᲛᲒᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲐᲪᲛᲑᲡ ᲜᲘᲚᲡᲘᲡ ᲗᲐᲚᲦᲔᲑᲡ. ᲐᲠᲪ ᲓᲦᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲙᲚᲐᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲨᲘᲜ ᲓᲐ ᲚᲐᲖᲬᲐᲗᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲐᲮᲐᲣᲠᲘᲔᲑᲘ ᲐᲛᲐᲧᲝᲤᲔᲑᲘ, ᲐᲠᲘᲐᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲚᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲨᲝᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲘᲐᲪᲛᲔᲑᲓᲐ ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ.

—ᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲯᲚᲝᲗ.

—ᲠᲐᲢᲝᲛ?

— ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲔᲠᲗᲘᲡᲨᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲬᲐᲛᲘᲧᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ, ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲝᲞᲝᲚᲗᲐᲜ ᲖᲘᲑᲠᲫᲝᲚᲓᲘ. ᲡᲐᲣᲜᲗ-ᲒᲝᲠᲐᲜᲖᲔ ᲝᲗᲮᲯᲘᲗ ᲓᲐᲕᲓᲘᲗᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲝᲗᲮᲯᲘᲗᲘᲠᲔᲒᲘ ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲗᲘᲗ ᲓᲐᲕᲑᲠᲣᲜᲓᲘᲗ, ᲑᲝᲚᲝᲛ ᲖᲠᲘᲚᲝᲛᲑᲐᲗ ᲙᲘ ᲕᲔᲓᲐᲠ ᲒᲐᲕᲣᲛᲐᲠᲗᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲓᲐ.

— ᲔᲒ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲐ. ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲟᲣᲚ, ᲩᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲯᲚᲓᲗᲣ, —ᲗᲥᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲠᲘᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲡᲐᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲜᲓᲠᲝᲡᲗᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡᲨᲘ ᲛᲧᲐᲕᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲘᲚᲘᲡ.

ᲡᲝᲤᲔᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲠᲘᲡ ᲘᲔᲖᲘᲓᲔᲑᲘ, ᲪᲘᲕᲘ ᲬᲧᲚᲘᲗ ᲓᲐᲠᲘᲡ ᲘᲑᲐᲜᲗ, ᲡᲐᲣᲜᲗᲛᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲖᲔ ᲛᲘᲓᲐᲡ. ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲡᲬᲘᲠᲘ ᲘᲪᲘᲐᲜ ᲠᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐᲗ. ᲡᲐᲜᲓᲠᲝᲡ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲣᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲐᲮᲕᲔᲓᲜᲔᲡ ᲩᲣᲠᲩᲣᲚᲔᲑᲓᲜᲔᲡ ᲐᲨᲛᲝᲚᲢᲘᲚᲘ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲦᲠᲝᲑᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲪᲘᲐᲜ ᲠᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐᲗ. ᲡᲐᲜᲓᲠᲝᲡ ᲧᲕᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲔᲠᲔ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲖᲔ ᲛᲘᲓᲘᲡ. ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲣᲨᲕᲐ. ᲣᲐᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲧᲝ. ᲐᲓᲠᲔᲓᲒᲐ ᲑᲐᲯᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲩᲐᲛᲯᲓᲐ. ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ. ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲜᲘᲛᲨᲘ.

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲜᲘᲐᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲘᲡᲘᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ ᲘᲧᲝ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ? ᲐᲠᲐ, ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲧᲝᲤᲐᲛ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲫᲚᲘᲐ. ᲒᲝᲠᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲜᲘᲛᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲚᲐᲮᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲓᲐ. ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲛᲐᲯᲚᲓᲗᲣ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲓᲐ ᲧᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲓᲠᲙᲜᲔᲑᲜᲔ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲗᲘ ᲨᲔᲣᲡᲐᲚᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲘᲤᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲣᲚᲐᲮᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲘᲤᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲚᲐᲮᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲘᲤᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲚᲐᲮᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲠᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲚᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ. ᲒᲝᲠᲐᲜᲐ ᲐᲛᲐᲧᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ. ᲐᲮᲐ ᲩᲥᲘᲗᲮᲣᲠ ᲗᲣᲒᲘᲜᲓ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲘᲤᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲣᲚᲐᲮᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲠᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲚᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ. ᲒᲝᲠᲐᲜᲐ ᲐᲛᲐᲧᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ. ᲐᲮᲐ ᲩᲥᲘᲗᲮᲣᲠ ᲗᲣᲒᲘᲜᲓ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲘᲤᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲗᲕ

საერთაშორისო
ლიტერატურული
ცხოვრება

კომუნისტთა სოლიდარობა

პარიზი, 27 აგვისტო. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები სავსებით უპერენ მხარს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, რასაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ, და სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ჩინეთის ხელმძღვანელთა გამთიშველ საქმიანობას.

სენისა და მარნის დეპარტამენტის კომუნისტური ფედერაციის ბიურომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გმობს ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელთა მეთოდებს, რომლებიც ცდილობენ თავს მოახვიონ სხვა პარტიებს თავიანთი მცდარი ხაზი და ითვისებენ უფლებას ჩაერიონ სხვა სოციალისტური ქვეყნებისა და კომუნისტური პარტიების საშინაო საქმეებში. ბიურო მიესალმება მოსკოვის ხელშეკრულებას, რომელიც გვაუწყებს მშვიდობის ძალების ახალ, უფრო გადამწყვეტ გამარჯვებებს ომის ძალებზე, რომლებიც იძულებული არიან უკან დაიხიონ.

სურათზე: იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქი ბელგრადი.

ფოტო ტანიუგ-საკდესისა.

ერთიანი ბიულეტენი

გდრ მუშვიდობის საწინდარია

პარიზი, 27 აგვისტო. (საკდესი). ის, რომ ვაშინგტონი და ლონდონი არ ცნობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერას, შეუწყნარებლად ეწინააღმდეგება ხელშეკრულების სულისკვეთებას. მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოწოდებულია შეუერთდეს ამ ხელშეკრულებას, აცხადებს გაზეთი „ლუმანიტე“ სტატიაში სათაურით „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მშვიდობის საწინდარია“. გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს წინააღმდეგობა გამოწვეულია დასავლეთის სახელმწიფოთა დამოკიდებულებით გერმანიის პრობლემისადმი. ისინი მხარს უჭერენ რურის მაგნატებსა და ბონის ნაცისტ გენერლებს და ამავე დროს დავობენ იმ გერმანიის არსებობაზე, სადაც ხელისუფლება მშრომელებს ეკუთვნით და სადაც ხელმძღვანელობის სათავეში დგანან ანტიფაშისტები. მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნავს „ლუმანიტე“, სურთ თუ არ სურთ დასავლეთის სახელმწიფოებს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობს და ყველას ახარებს ეს, ვისთვისაც ნამდვილად ძვირფასია მშვიდობა.

არ გვინდა აჯომური იარაღი, ამბობენ კანადელები

ოტავა, 27 აგვისტო. (საკდესი). კანადის კომპარტიის ეროვნული აღმასკომის განცხადებაში, რომელიც გაზეთ „კანადიენ ტრიბუნში“ დაიბეჭდა, ნათქვამია: ლ. პირსონის მთავრობა იცავს პენტაგონის გენერლების ინტერესებს და უღალატა კანადელ ხალხს.

თავისი თანხმობით, რომ კანადის ტერიტორიაზე განლაგდეს ამერიკის ატომური ბომბები და რომ ეს ბომბები გადავიდეს ჩვენი შეიარაღებული ძალების ხელში, მთავრობამ სასიკვდილო საფრთხე შეუქმნა კანადას, აღნიშნულია განცხადებაში. ლ. პირსონის მთავრობას არა აქვს ხალხის მანდატი ასეთი სამარცხვინო ნაბიჯის გადადგმისათვის. ხალხმა უნდა სთქვას თავისი საბოლოო სიტყვა, ნათქვამია დასასრულ განცხადებაში, და გამოგლიჯოს კანადა პენტაგონის მარწუხებს, იხსნას კანადის ღირსება შებღალვისაგან და გადააქციოს იგი მშვიდობის მომხრე ძალად. არავითარი ატომური იარაღი კანადისათვის!

ახლა კანადაში სულ უფრო ზვირთდება საპროტესტო ტალღა ლ. პირსონის მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

ლიბერალ მამდნის მრეწველობის მაღაროელთა და მდნობელთა პროფკავშირმა ჰრმიერ-მინისტრ ლ. პირსონს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც გამოთქმულია პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაიღო შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს კანადისათვის ატომური მუხტის გადაცემას.

ასეთსავე პროტესტს აცხადებს კანადის ბევრი პროფკავშირი და საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

მოლაპარაკეგა დამთავრდა

კაირო, 26 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა ერთობლივი კომუნიკე, რომელშიც შეჯამებულია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ნასერისა და ერაყის პრეზიდენტის არიფის შეხვედრის შედეგი. 21-26 აგვისტოს ორივე პრეზიდენტი, ნათქვამია კომუნიკეში, აწარმოებდა მოლაპარაკებას საკითხებზე: მდგომარეობა არაბთა ქვეყნებში და ურთიერთდამოკიდებულება ორივე ქვეყნას შორის. მათ აღნიშნეს, რომ საჭიროა მოისპოს უთანხმოება და შეიქმნას ხელსაყრელი პირობები არაბთა ერთობის განსახორციელებლად. პრეზიდენტებმა აზრი გამოთქვეს, რომ საჭიროა განმტკიცდეს ურთიერთობა ერაყსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და სამხედრო დარგებში.

ორივე მხარემ ხაზი გაუსვა თავის გადაწყვეტილებას, რომ განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი ისრაელის ყოველი აგრესიული ცდის მიმართ არაბთა ქვეყნების წინააღმდეგ.

ისინი მიესალმნენ იმ პროგრესს, რაც მოიპოვა ირანის რევოლუციამ და მის გამარჯვებას იმპერიალისტურ და რეაქციულ ძალებზე.

პრეზიდენტებმა დაადასტურეს, რომ სწამთ მთელი არაბი ერის ბრძოლის ერთობა იმპერიალიზმისა და რეაქციული ბატონობის წინააღმდეგ.

პრეზიდენტმა არეფმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი მიიწვია ერაყის რესპუბლიკაში. პრეზიდენტმა ნასერმა მიიღო მიწვევა. ნასერი ერაყს ეწვევა ამა წლის ოქტომბერში.

დეპუტატები მხარს უჭერენ ალჟირის კონსტიტუციის პროექტს

ალჟირი, 26 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ალჟირის ეროვნულ დამფუძნებელ კრებაში დამთავრდა კამათი ალჟირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ, რომელმაც ორ დღეს გასტანა.

ეროვნულ დამფუძნებელ კრებაში გამართულმა კამათმა ცხადყო, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტმა შეიმუშავა, დეპუტატთა მხარდაჭერით სარგებლობს. დღეს ნაშუადღევს დაიწყება პროექტის მუხლობრივი განხილვა.

ჩვენ მიგვიღეს როგორც მეგობრები

ბამაკო, 27 აგვისტო. (საკდესი). მოსკოვში მიგვიღეს როგორც ამხანაგები და მეგობრები, როგორც იმ ქვეყნის წარმომადგენლები, რომელიც ესწრაფვის მშვიდობასა და თანამშრომლობას. მოსკოვი ისეთი ქალაქია, რომელიც თვითონ მეტყველებს თავის თაგზე, დიდი, ლამაზი და მომხიბვლელი ქალაქი. მოსკოვი ისეთი ქალაქია, რომელიც უმალვე ატყვევებს პირველად ჩასული ადამიანის წარმოდგენას, წერს ერთგვარეულ „ესერში“ მალიელი ჟურნალისტი ბასურა ტრაორე.

ბასურა ტრაორე თან ახლდა მალის მთავრობის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობდა მალის რესპუბლიკის ვაჭრობისა და ტრანსპორტის სამინისტროს კაბინეტის დირექტორი ფელიქს ჟუანელი. ამ დელეგაციამ პირველმა იმგზავრა პირდაპირი ავიახაზით ბამაკო-მოსკოვი.

ბ. ტრაორე აღნიშნავს: იმან, რომ მალის დელეგაციამ და „აეროფლოტის“ ხელმძღვანელებმა მოსკოვში ერთმანეთს აზრი გაუზიარეს მალისა და სსრ კავშირს შორის საპაერო მიმოსვლის საკითხებზე, ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირ-მალის ტრადიციული მეგობრობის განმტკიცებას.

ყველგან, — ხაზს უსვამს ავტორი, — ენთუზიაზმით გვიღებდნენ.

ვიზიტმა, წერს იგი, საშუალება მოგვცა აგრეთვე გავცნობოდით საბჭოთა კავშირის მიღწევებს საავიაციო ტექნიკის დარგში. თანამედროვე თვითმფრინავები „ან-10“ და „ტუ-124“ ცხადყოფენ, რომ საბჭოთა კავშირში დიდად განვითარებულია მეცნიერება.

ბასურა ტრაორე მოჰყვა, თუ როგორ ინახულა მოსკოვის კრემლი, ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი, პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი და ხაზი გაუსვა, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა თვალსაჩინოდ მოწმობს, თუ რა გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწია სსრ კავშირმა ეროვნული ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის ყველა დარგში“.

ბოლივიის ხელშეკრულების ახალი ხელმოწერები

ვაშინგტონი, 27 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ჩადის რესპუბლიკამ და შვეიცარიამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ. დღეისათვის ვაშინგტონში მოსკოვის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 71 ქვეყანამ.

საბჭოთა კავშირის შეკვეთით

ბუქარესტი, 27 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა წარმომადგენლებმა გალაცის გემთსაშენში მიიღეს საზღვაო თბომავალი „ახალი დონბასი“, რომელიც საბჭოთა კავშირის შეკვეთით აშენდა. საზღვაო თბომავლების წარმოება რუმინეთში დაიწყო სახალხო ხელისუფლების წლებში. „ახალი დონბასი“ ასეთი ტიპის პირველი გემია, რომელიც შემქმნეს საექსპორტოდ გალაცელმა გემთმშენებლებმა.

გრძელი მწვავდება

ათენი, 26 აგვისტო. (საკდესი). საბერძნეთში დღითი-დღე ძლიერდება პოლიტიკური ბრძოლა. ოპოზიციური პარტიები, ხედავენ რა, რომ პაპანელისის მთავრობას არ სურს მოაწყოს პარლამენტის თავისუფალი არჩევნები, ცდილობენ მიაღწიონ მთავრობის გადადგომას და პირობების შექმნას დემოკრატიული თავისუფლებისათვის.

ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის თავმჯდომარემ პასალიდისმა პრესისათვის განცხადებაში კვლავ მოუწოდა ოპოზიციას გაეერთიანოს მეცადინეობა და დარაზმოს ხალხის ფართო მასები საერთო ნდობის მთავრობის შექმნისათვის საბრძოლველად, რომელიც შეძლებს მოაწყოს თავისუფალი არჩევნები მარტივი პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

ბურჟუაზიული ოპოზიციური პარტიის „ცენტრის კავშირის“ ლიდერმა პაპანდრეუმ განცხადებაში პრესისათვის მოითხოვა დაუყოვნებლივ გადადგეს ახლანდელი მთავრობა. გუშინ პაპანდრეუ შეხვდა პროგრესისტთა ოპოზიციური პარტიის ლიდერს მარკეზინისს.

ბონი-პარიზის ღერძი მოქმედებს

პარიზი, 27 აგვისტო. (საკდესი). პარიზის პრესის ცხობით, ქალაქ სარე-ბურგის (საფრანგეთი) ყაზარმებში ჩამოვიდნენ დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერის ნაწილები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ერთობლივ მანევრებში საფრანგეთის ჯარებთან ერთად.

თავის მხრივ საფრანგეთის ნაწილები შეუერთდებიან დასავლეთ გერმანიის ჯარების შემადგენლობას კობლენცის რაიონში. იქ ფრანგ ჯარისკაცებს უხელმძღვანელებენ ბუნდესვერის ოფიცრები, შესაძლებელია სწორედ ისინი ვინც ორი ათეული წლის წინათ თარეშობდნენ საფრანგეთის ტერიტორიაზე... ასე ხორციელდება პრეზიდენტ დე გოლისა და კანცლერ ადენაუერის დადებული ხელშეკრულება საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ.

ბრძოლა გრძელდება

ათენი, 26 აგვისტო. (საკდესი). საბერძნეთში დღითი-დღე ძლიერდება პოლიტიკური ბრძოლა. ოპოზიციური პარტიები, ხედავენ რა, რომ პაპანელისის მთავრობას არ სურს მოაწყოს პარლამენტის თავისუფალი არჩევნები, ცდილობენ მიაღწიონ მთავრობის გადადგომას და პირობების შექმნას დემოკრატიული თავისუფლებისათვის.

ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის თავმჯდომარემ პასალიდისმა პრესისათვის განცხადებაში კვლავ მოუწოდა ოპოზიციას გააერთიანოს მეცადინეობა და დარაზმოს ხალხის ფართო მასები საერთო ნდობის მთავრობის შექმნისათვის საბრძოლველად, რომელიც შეძლებს მოაწყოს თავისუფალი არჩევნები მარტივი პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

ბურჟუაზიული ოპოზიციური პარტიის „ცენტრის კავშირის“ ლიდერმა პაპანდრეუმ განცხადებაში პრესისათვის მოითხოვა დაუყოვნებლივ გადადგეს ახლანდელი მთავრობა. გუშინ პაპანდრეუ შეხვდა პროგრესისტთა ოპოზიციური პარტიის ლიდერს მარკეზინისს.

ზიში სიმართლის წინაშე

ჰავანა, 26 აგვისტო. (საკდესი). კუბის სტუდენტთა საუნივერსიტეტო ფედერაციის მოწვევით ივლისის დამდეგს ჰავანაში ჩამოვიდა ამერიკელ სტუდენტთა ჯგუფი, რათა, როგორც თვითონ განაცხადეს, გაეგოთ სიმართლე იმ ქვეყნის შესახებ, სადაც გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ.

კუბაში მოგზაურობის დროს ამერიკელი სტუდენტები — თეთრკანიანები და შავკანიანები, ქალიშვილები და ჰაბუკები, სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის ადამიანები — ხვდებოდნენ და ესაუბრებოდნენ სტუდენტებს, მუშებს, გლეხებს, რევოლუციის ხელმძღვანელებს. მათ ესაუბრა კუბელი ხალხის ბელადი ფიდელ კასტრო.

და აი ახლა, როცა ამერიკელმა სტუდენტებმა სამშობლოში გამგზავრება დაიპირეს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ხელი შეუშალოს მათ დაბრუნებას შინ.

პრეს-კონფერენციაზე ჰავანაში ამერიკელმა სტუდენტებმა განაცხადეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ზეგავლენით ამერიკის კონტინენტის ზოგიერთი ქვეყნის ხელისუფლებმა უარი თქვეს დაშვების ნება მისცენ კუბის სპეციალურ თვითმფრინავს. კუბის მთავრობა აპირებდა ამ თვითმფრინავით გაეგზავნა ამერიკელი სტუდენტები ერთ-ერთ ადგილს, საიდანაც შეძლებდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნებას.

შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, ნათქვამია სტუდენტთა განცხადებაში, არ ფარავს თავის მეცადინეობას, რომელიც მიზნად ისახავს კუბის იზოლაციას, იმას, რომ ხელი შეუშალოს როგორც ლათინური ამერიკის ქვეყნების, ისე ამერიკის მოქალაქეებსაც ეწვიონ კუბას. სახელმწიფო დეპარტამენტი თავიდანვე წინააღმდეგი იყო ჩვენი მოგზაურობისა. ჩვენ გვემუქრებოდნენ, მაგრამ ხელი ვერ შეგვიშალეს.

ამერიკელმა სტუდენტებმა დიდი მადლობა გადაუხადეს კუბის სტუდენტთა საუნივერსიტეტო ფედერაციასა და მთელ კუბელ ხალხს იმისათვის, რომ შეესაძლებლობა მისცეს მოეწყოთ ასეთი მოგზაურობა კუბაში.

სისხლიანი შეტაკება პერუში

ლიმა, 27 აგვისტო. (საკდესი). იანტაკისა და მარკაპომაკოჩის თემების 600 პერუელმა გლეხმა ხელთ იგდო კორპაკანჩის მამულის მიწები. მათ გააშენეს იქ ჭოხები, საძოვრებზე აძოვებდნენ ჯოგებს. ხელისუფლებმა გლეხების წინააღმდეგ გაგზავნეს სამოქალაქო გვარდიის ნაწილები. გლეხების მიერ მოწყობილი თავდაცვის პირველ ხაზზე იმყოფებოდნენ ჯოხებით შეიარაღებული ქალები.

გაფფრებულ შეტაკებათა შედეგად მოკლულია ერთი გლეხი, დაჭრილია 8 გლეხი, დაჭრილია აგრეთვე სამოქალაქო გვარდიის 3 ოფიცერი და 7 რიგითი ჯარისკაცი.

გლეხებზე შეიარაღებულმა თავდასხმამ პერუს საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია. პერუს მშრომელთა ეროვნული კონფედერაციის ხელმძღვანელობამ მოითხოვა იმ პირთა დასჯა, რომლებსაც ბრალი მიუძღვით სისხლისღვრაში.

საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გმირები

პორტუგალიის კომუნისტური პარტია აი უკვე 37 წლის განმავლობაში ღრმა იატაკქვეშეთშია. და მაინც, მიუხედავად ამისა, მასებში მისი გავლენა ძლიერდება, მისი ორგანიზებულობა იზრდება.

მთელი ამ წლების მანძილზე პორტუგალ-ის კომუნისტები თავდადებულად იბრძვიან ხალხის ინტერესებისათვის, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის. ბევრმა მათგანმა თავი დაკარგა სოციალიზმის საქმისადმი ერთგულებისათვის, სალაზარის დიქტატურისაგან თავისი ქვეყნის განთავისუფლებისადმი მისწრაფებისათვის. ბევრი კომუნისტი იატაკქვეშეთშია აფ-ათ და ოც-ოც წელიწადს და მუდმივი რისკის პირობებში მუშაობს.

პორტუგალიის კომუნისტებზე, მათს გმირობასა და რწმენაზე მინდა მოგითხროთ ამ ნარკვევებში. მე მომიხდა ჩვენი პარტიის საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად მიმუშავნა, ხოლო შემდეგ შევხვედრდი ხოლმე მათ საპყრობილეებში, სადაც 21 წელი გავატარე.

მრავალ კომუნისტს შორის, რომელთა დაკარგვა განსაკუთრებით მძიმეა ჩვენთვის, პირველ ადგილზე დგას ამხანაგი ბენტო გონსალვესი, ჩვენი პარტიის გენერალური მდივანი 1929 წლიდან. მან დიდი როლი შეასრულა პარტიული რიგების დარაზმვასა და ლენინური სულისკვეთებით აღზრდაში, იგი ჩვენი პარტიის სული და ტვინი იყო.

რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ბენტო გონსალვესი 29 წლისა გახდა კომუნისტთა ლიდერი?

1927 წელს ხარატი ბენტო გონსალვესი, ლისაბონის არსენალის მუშათა პროფკავშირის ხელმძღვანელი რომ იყო, მოსკოვში ჩავიდა ოქტომბრის რევოლუციის მე-10 წლისთავის დღესასწაულზე. იგი ნათელი გონების ადამიანი იყო და ღრმად იგრძნო მარქსისტულ-ლენინური იდეების მთელი ძალა და ქმედითობა. ახალი ცოდნით შეიარაღებული ბენტო გონსალვესი სამშობლოში რომ დაბრუნდა, მჩქეფარე საქმიანობა გააჩაღა პარტიის გასაწმენდად ოპორტუნისტული ელემენტებისაგან, რომლებიც მაშინ ხელმძღვანელ ორგანოებში შეღიოდნენ და ხელს უშლიდნენ მასებთან პარტიის კავშირის განვითარებასა და განმტკიცებას.

მალე პარტიულ კონფერენციაზე ბენტო გონსალვესი არჩეულ იქნა პორტუგალიელ კომუნისტთა გენერალურ მდივნად. იგი იწყებს პარტიის აგებას ლენინურ პრინციპებზე. მაგრამ 1930 წელს იგი დაიპატიმრეს და გადასახლეს ჯერ კუნძულ მადეირაზე, შემდეგ კი კუნძულ სან ნიკოლაუზე (მწვანე კონცხის კუნძულები). 1932 წელს ბენტო გონსალვესი ლისაბონში ბრუნდება და მთელი არსებით ებრძვა პარტიულ მუშაობაში. მე ბენტო გონსალვესი 1935 წელს გავიცანი მოსკოვში. იგი მაშინ მოსკოვში ჩავიდა როგორც პორტუგალიის დელეგაციის მეთაური კომინტერნის VII კონგრესზე. პარტიის დავალებით მეც მოსკოვში ჩავედი.

მოსკოვში ჩვენ რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს, და არასოდეს არ დამავიწყდება ის შთაბეჭდილება, რაც გონსალვესმა მოახდინა ჩემზე თავისი მამაცობითა და მიზანსწრაფვით.

პორტუგალიაში დაბრუნების შემდეგ ბენტო მალე ფაშისტებმა დააპატიმრეს. ბენტოს დაპატიმრება მძიმე დანაკლისი იყო ჩვენი პარტიისათვის.

შემდეგი შეხვედრა ბენტო გონსალვესთან მომიხდა მწვანე კონცხის კუნძულებზე, ტარაფალის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც იგი იმყოფებოდა 1936 წლის 29 დეკემბრიდან, ესე იგი ბანაკის გახსნის დღიდან. მე იქ 1940 წლის ივნისში ჩამოყვანეს.

მეტად მძიმე იყო პატიმართა მდგომარეობა ამ ბანაკში, ხოლო პირველი წლები, რაც იქ ბენტომ გაატარა, განსაკუთრებით საშინელი იყო. მან და მისმა ამხანაგებმა ბანაკში განიცადეს ეგრეთწოდებული „მწვავე პერიოდი“ (1936-1938 წ. წ.) — ბარბაროსული რეპრესიების, სასტიკი ძალადობისა და აბუჩად აგდების დრო. პატიმრებს სრულებით არ უწევდნენ სამედიცინო დახმარებას. „მხოლოდ იმიტომ, რომ პატიმართა უმრავლესობა 17-დან 35 წლამდე ასაკისა იყო და ყველანი ფიზიკურად მაგრები იყვნენ, ბევრი გადარჩა ცოცხალი“, — მიამბობდა გონსალვესი.

ტარაფალის საკონცენტრაციო ბანაკში, როგორც მე დავწერეთ, ბენტო გონსალვესი ყოველთვის სხვებისთვის მეტს ზრუნავდა, ვიდრე თავისი თავისათვის. თავისი მაგალითით და რჩევა-დარიგებით, მთელი თავისი ქცევით გვიმსუბუქებდა ტანჯვას.

საკონცენტრაციო ბანაკში გაზეთებისა და წიგნების მიღებას არ გვანებებდნენ. პატიმრებს მხეცურად სცემდნენ, ძველი გაზეთის ნახევიც რომ ეპოვნათ მათთვის. ნათესავებისთვის წერილის გაგზავნა მხოლოდ 40 დღეში ერთხელ შეგვეძლო. ამისთვის გვაძლევდნენ ორ ფურცელ ქაღალდს და ფანქარს, რომლებიც შემდეგ უკან უნდა დაგვებრუნებინა.

მიუხედავად ასეთი რეჟიმისა, ბენტო გონსალვესი, დიდად განათლებული ადამიანი, ეხმარებოდა ამხანაგებს, გვასწავლიდა მათემატიკას, განსაკუთრებით ალგებრას, რომელიც უყვარდა და კარგად იცოდა.

უხმელ მძიმე იყო პატიმართა მდგომარეობა ამ ბანაკში, ხოლო პირველი წლები, რაც იქ ბენტომ გაატარა, განსაკუთრებით საშინელი იყო. მან და მისმა ამხანაგებმა ბანაკში განიცადეს ეგრეთწოდებული „მწვავე პერიოდი“ (1936-1938 წ. წ.) — ბარბაროსული რეპრესიების, სასტიკი ძალადობისა და აბუჩად აგდების დრო. პატიმრებს სრულებით არ უწევდნენ სამედიცინო დახმარებას. „მხოლოდ იმიტომ, რომ პატიმართა უმრავლესობა 17-დან 35 წლამდე ასაკისა იყო და ყველანი ფიზიკურად მაგრები იყვნენ, ბევრი გადარჩა ცოცხალი“, — მიამბობდა გონსალვესი.

ტარაფალის საკონცენტრაციო ბანაკში, როგორც მე დავწერეთ, ბენტო გონსალვესი ყოველთვის სხვებისთვის მეტს ზრუნავდა, ვიდრე თავისი თავისათვის. თავისი მაგალითით და რჩევა-დარიგებით, მთელი თავისი ქცევით გვიმსუბუქებდა ტანჯვას.

საკონცენტრაციო ბანაკში გაზეთებისა და წიგნების მიღებას არ გვანებებდნენ. პატიმრებს მხეცურად სცემდნენ, ძველი გაზეთის ნახევიც რომ ეპოვნათ მათთვის. ნათესავებისთვის წერილის გაგზავნა მხოლოდ 40 დღეში ერთხელ შეგვეძლო. ამისთვის გვაძლევდნენ ორ ფურცელ ქაღალდს და ფანქარს, რომლებიც შემდეგ უკან უნდა დაგვებრუნებინა.

მიუხედავად ასეთი რეჟიმისა, ბენტო გონსალვესი, დიდად განათლებული ადამიანი, ეხმარებოდა ამხანაგებს, გვასწავლიდა მათემატიკას, განსაკუთრებით ალგებრას, რომელიც უყვარდა და კარგად იცოდა.

უხმელ მძიმე იყო პატიმართა მდგომარეობა ამ ბანაკში, ხოლო პირველი წლები, რაც იქ ბენტომ გაატარა, განსაკუთრებით საშინელი იყო. ამ ბანაკში ბენტო ბევრ ტანჯვას ეზიარა. ბენტოს ცხოვრებაზე ბევრი ვიცოდი, ბევრ ადამიანს ვიცნობ, ვინც ბენტოს ერთ-ერთ ადგილას, საიდანაც შეძლებდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნებას.

შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, ნათქვამია სტუდენტთა განცხადებაში, არ ფარავს თავის მეცადინეობას, რომელიც მიზნად ისახავს კუბის იზოლაციას, იმას, რომ ხელი შეუშალოს როგორც ლათინური ამერიკის ქვეყნების, ისე ამერიკის მოქალაქეებსაც ეწვიონ კუბას. სახელმწიფო დეპარტამენტი თავიდანვე წინააღმდეგი იყო ჩვენი მოგზაურობისა. ჩვენ გვემუქრებოდნენ, მაგრამ ხელი ვერ შეგვიშალეს.

ამერიკელმა სტუდენტებმა დიდი მადლობა გადაუხადეს კუბის სტუდენტთა საუნივერსიტეტო ფედერაციასა და მთელ კუბელ ხალხს იმისათვის, რომ შეესაძლებლობა მისცეს მოეწყოთ ასეთი მოგზაურობა კუბაში.

ბენტო გონსალვესი

ბენტო გონსალვესი, პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი, კაცი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე, მთელი თავისი გონება, მთელი თავისი ენერგია კომუნიზმის საქმეს მოახმარა, განისვენებს ტარაფალის სასაფლაოზე სალაზარის ათობით სხვა მსხვერპლის გვერდით. მან მემკვიდრეობად დაგვიტოვა თავისი რწმენა და იდეური შეურიგებლობა, დაგვიტოვა პარტია, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერი ხდება და გაბედულად რაზმავს ხალხს ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბენტო გონსალვესი სალაზარის რეჟიმმა მოკლა. მაგრამ პორტუგალიის კომუნისტთა პარტია კვლავ ცოცხალია და თავისი რიგების განმტკიცებას განაგრძობს. იგი ღირსეულად შეასრულებს თავის ისტორიულ მისიას.

უკვე ვთქვი, რომ ბევრმა ჩვენმა ამხანაგმა საპყრობილეში ათი-ოცი წელი გაატარა. სიკვდილის ბანაკმა ტარაფალმა, პენიშეს, კაშიასის ციხეების ქვის ჯურმულებმა — ამ საპყრობილეებმა ვერ გატეხა კომუნისტთა ბრძოლის ნებისყოფა. ჩვენი პარტია, რომელიც იატაკქვეშეთში იმყოფება, გამოიწრთო, და მაგნტიკივი იზიდავს ქვეყნის ყველა პატიოსან ადამიანს.

ერთ-ერთი ჩვენი ამხანაგი, რომელსაც საპყრობილეში ყოფნის ყველაზე ხანგრძლივი „სტაჟი“ აქვს, პარტიის უხუცესი წევრი მანუელ როდრიგეს და სილვა. ეს არაჩვეულებრივი ადამიანი კომუნისტურ პარტიაში შევიდა ოცდაათ წელიწადზე მეტი ხნის წინათ. სალაზარის საპყრობილეებში მანუელმა თითქმის მეოთხედი საუკუნე გაატარა. იგი საპყრობილეში იტანჯება დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ მძიმე ავადმყოფია, ხოლო პატიმრობის ვადა, რომელიც მას მიუსაჯეს, დიდი ხანია გავიდა. მარტო მისი ბედი რომ ავწეროთ, ეს საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ ცხადყოფთ, თუ რაოდენ ფართოდ გავრცელდა სალაზარის ფაშისტური რეჟიმის დროს უკანონობა და თვითნებობა.

მანუელ როდრიგეს და სილვა რევოლუციური ბრძოლის გზას სულ ახალგაზრდა დაადგა და უკვე ცნობილი იყო პარტიულ წრეებში, როცა 1933 წელს პირველად შეეხვდი. მე მომიხდა დიდი ხნის განმავლობაში მემუშავნა მანუელთან ლისაბონის პარტიულ კომიტეტსა და პროფკავშირულ კომისიაში. ნათელი გონებისა და მტკიცე, პრინციპული ხასიათის ადამიანი, იგი სარგებლობდა ყველა იმის პატივისცემით, ვისაც კი ხვდებოდა.

შემდეგ მე სხვა სამუშაოზე გადამიყვანეს, დედაქალაქი დავტოვე და ერთ ხანს ვეღარ ვხედავდი სილვას.

შემდეგ ბედმა მანუელს შემახვედრა 1940 წელს. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით პორტუგალიის ყველაზე საშინელ სასიკვდილო ბანაკ ტარაფალში, მწვანე კონცხის კუნძულების ტროპიკული აჩქიპელაგის ერთ-ერთ კუნძულზე. იგი უკვე ოთხ წელიწადს იჯდა ამ ბანაკში. მე იქ ლისაბონის საპყრობილიდან გადამიყვანეს, და ერთმანეთის გვერდით დავყავით 1946 წლის დამდეგამდე. ბანაკში დავმეგობრდით, და მე კიდევ უფრო კარგად გავიცანი ამ შესანიშნავი ადამიანის კეთილშობილება.

1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების ცოტა ხნის შემდეგ, პორტუგალიის დიქტატორის მთავრობამ „ამნისტია“ გამოაცხადა, და ჩვენ თანდათანობით გვათავისუფლებდნენ ბანაკიდან, რომლის მიდამოებშიც მთელი ტყე ჯვრები დარჩა — ჩვენი იმ ამხანაგების საფლავები, ვინც საპყრობილის ხელისუფალთა მხეცური მოპყრობა ვერ აიტანა...

ტყუილად კი არ ვსვამ ბრჭყალებში სიტყვა „ამნისტიას“. ჩვენს მიმართ ეს ყოველად საზიზღარი ფარისევლობა იყო: მანუელი გასამართლებლად იყო გაგზავნილი სამყაროდან, მე კი ტარაფალში ოთხ ნახევარი წლით მეტი გავატარე, ვიდრე განაჩენით იყო გათვალისწინებული.

ტარაფალში, როცა იქ მიმიყვანეს, მანუელის ცნობა გაგიჟირდებოდა — ისე გამხდარიყო. თავი იჩინა მძიმე ჰაგამ, ცუდმა კვებამ, სამედიცინო დახმარების უქონლობამ, მალარიით ხშირად დაავადებამ, კატორღულმა მუშაობამ. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, მისი სიმტკიცე და პარტიისადმი ერთგულება ისეთივე იყო, როგორც ჩვენი გაცნობის პირველ წლებში. მანუელი ბანაკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში შედიოდა.

1946 წლის დამდეგს ლისაბონში რომ დაბრუნდა, იგი კვლავ მთელი არსებით ჩაება პარტიის საქმეში, ღრმა იატაკქვეშეთში გადავიდა და ამხანაგებს რევოლუციური წრთობის მაგალითს აჩვენებდა, ვინაიდან კარგად ცნობილია რისკი, რომელიც დაკავშირებულია არალეგალურ მოღვაწეობასთან.

1950 წლის მარტში მანუელ როდრიგესი კვლავ დაიპატიმრეს და მას შემდეგ საპყრობილეშია, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხანია გავიდა ვადა, რომელიც მას მიესაჯა. ხელისუფლებმა, „უნიშრების ზომების“ მომიზეზებით უკვე რამდენჯერმე გადადეს როდრიგესის განთავისუფლება. პრაქტიკულად მისი პატიმრობა უვადო გახდა.

გასამართლებისას, რაც სინამდვილეში პოლიციური კომედია იყო, მანუელი გამოვიდა ბრწყინვალე სიტყვით პარტიისა და მისი ხაზის დასაცავად. პორტუგალიაში ნამდვილი მართლმსაჯულება არ არსებობს, და კომუნისტებისათვის დაცვის უფლებას არ ცნობენ. ამიტომ სილვამ სასამართლო პროცესი გამოიყენა იმ დანაშაულობათა მხილებისათვის, რომლებსაც ფაშისტური ხელისუფალნი სჩადიან.

მანუელ როდრიგეს და სილვა საპყრობილეში არაერთხელ განიცდიდა ძალადობას ჯალათების მხრივ, რომლებსაც უნდოდათ გატეხთან იგი, მაგრამ მთელი მათი ღონისძიებანი გააქარწყლა ამ შესანიშნავი კომუნისტის მტკიცე ნებისყოფამ.

ამჟამად მანუელის ჯანმრთელობა შერყეულია, მისი სიცოცხლე საფრთხეშია. ფაშისტურ დიქტატურას სურს მანუელ როდ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

თქვენ დაიპყარით მეხუთე კონტინენტი

• ქართველი მოცეკვავეები ავსტრალიაში •

ასე დაიწყო თავისი სიტყვა ქალაქ მელბურნის მერმა ლორდმა ნეიტონმა გამოსათხოვარ დარბაზობაზე, რომელიც მელბურნის ტაუნ ჰოლში მოეწყო ხაქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის მსახიობთა პატივისცემად, და განაგრძო: „ეე ვიცი, რომ თქვენ წარმომადგენლები ხართ ძველი და ისტორიით მდიდარი ქართველი ხალხისა, რომლის რელიგიის, ხელოვნებისა და კულტურის ფესვები საუკუნეთა შორეულ სიღრმეშია. მთელი ჩვენი ხალხი მოუთმენლად ელოდა თქვენს ჩამოსვლას ჩვენს კონტინენტზე. ჩვენ გიცნობდით კინოფილმით „მსოფლიო ტაშს უკრავს“, ტელევიზიის რეკლამებით. მაგრამ ანსამბლის კონცერტებმა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სცენებზე გაიმართა, ჩვენს ყოველ მოლოდინს გადააჭარბა.

ბატონო სუხიშვილო, ქალბატონო რამიშვილო, ბატონო მსახიობებო! მინდა მოგილოცოთ თავისებური რეკორდი, რომელიც თქვენ ავსტრალიაში დამყარეთ. საქმე ის არის, რომ არც ერთი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ხელოვნების სამყაროში ავსტრალიის პრესას არ აღუნიშნავს იმდენი რეცენზიით, როგორც საქართველოს ხალხური ცეკვის კოლექტივის გამოსვლები“.

და მართლაც, ჩვენმა სახელოვანმა ცეკვის ანსამბლმა ასეთი რეკორდი დამყარა. ავსტრალიის მთავარი ქალაქების თითქმის ყველა გაზეთი — „დეილი ტელეგრაფი“, „მორნინგ ჰერალდი“, „სანდი ტელეგრაფი“, „ჰერალდი“, „სანნიუს პიქტორიალი“, „ეიჯი“, „ტრიბუნი“ და სხვები, კომენტარს უკეთებენ რა ქართველ საბჭოთა მოცეკვავეთა კონცერტებს, ერთმანეთს ეჯიბრებიან იმაში, რომ უმაღლესი შეფასება მისცენ მათს ხელოვნებას, აღნიშნავენ, რომ შორეული ქვეყნის ნიჭიერი კოლექტივის სამოცზე მეტი კონცერტი, რომლებმაც უდიდესი წარმატებით ჩაიარა, ას ოცი ათასმა ავსტრალიელმა ინახულა.

ერთ-ერთი გაზეთი აღნიშნავს, რომ „ჩამოსვლა ამ შესანიშნავი ვაჟებისა და ქალიშვილებისა, რომლებიც გვიჩვენებენ ხალხური ცეკვის მაღალ ხელოვნებას, ფასდაუდებელია საბჭოთა ხალხისა და ავსტრალიელი ხალხის ურთიერთგაგების დამყარებაში. არა გვგონია, რომ ათობით შეხვედრას დიპლომატიურ დონეზე და სხვადასხვა გამოფენების მოწყობას ასეთივე შედეგი ჰქონოდა ხალხთა დაახლოებაში“.

მელბურნი მშვენიერი ქალაქია, იგი გვხიბლავს ლამაზი სწორი ქუჩებით, დაბურული ბულვარებითა და პარკებით. მდინარე იარა ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს; მის სარკესავით წყლებში ასახულია ხიდები, ტაძრების გუმბათები და შეყვარებულთა წყვილები ნაპირებზე... ლამაზია ოლიმპიური სტადიონი, სადაც უზარმაზარი ტერიტორია დაფარულია ნორჩი ბალახის მწვანე ხავერდით. საცურავი აუზები, სწორი ბილიკები სპორტსმენებისათვის, შესანიშნავი ველოტრეკი და სტადიონის მოხერხებული ტრიბუნები, სადაც ასი ათასამდე მაყურებელი ეტევა. სტადიონის ფასადი მორთულია ვერცხლის დიფით, რომელზეც „ხუთი“ რგოლია — ავსტრალიაში 1956 წელს გამართული მსოფლიო ოლიმპიადის სიმბოლო.

ოქროს ასოებით ბრწყინავს მსოფლიოს ჩემპიონების — ჩუკარინის, შახლინის, აზარიანისა და მურატოვის, ცალკე ლამანიძისა და გიგი კარტოზიას სახელები. ხშირად მოჩანს ოთხი ასო — სსრკ.

ჩვენ დაგვაინტერესა სიდიდით ავსტრალიის მეორე ქალაქის ისტორიამ. და აი რა შევიტყეთ: 1835 წელს ყველა ახალმოსახლეს როდი ხვდა ტასმანიის მიწა. ბევრი მათგანი ჯონ ბეტმანის მეთაურობით გაემართა ავსტრალიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაპირებისაკენ. თავიანთ გზაზე ისინი სპობდნენ მკვიდრ მოსახლეობას, ავსტრალიის აბორიგენებს, მიაღწიეს მდინარე იარას ჭორომებამდე და იქ საფუძველი ჩაუყარეს ქალაქს. რამდენიმე ხნის შემდეგ იქ ჩავიდა ახალი სამხრეთი უელსის გუბერნატორი და ინგლისის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად ქალაქს მელბურნი უწოდა.

კინოკამერით წაედი მელბურნის დამაარსებლის ჯონ ბეტმანის სახლის ნაძებნელად, მაგრამ ის აღარ არსებობს მელბურნში. სამაგიეროდ აქ, აშოლტილ ეუკალიპტებში, ნახავთ „ავსტრალიის დამაარსებლის“ კაპიტან ჯემს კუკის სახლს. ეს სახლი, რომელიც ოდესღაც ოორკშირში, გრეიტ-ეიტონში იდგა, 1933 წელს ავსტრალიელებმა იყიდეს და ო�o ათას კილომეტრ მანძილზე გადაიტანეს მელბურნის ფიცროი გარდენში.

კინოფილმისათვის მელბურნის ქუჩებს რომ ვიღებდით, ოოჯერ კინალამ მსხვერპლი გავხდით ავტომანქანებისა, რომლებიც საშინელი სისწრაფით დაჰქრიან. გამახსენდა სიდნეელი მეგობრების რჩევა, მელბურნის ქუჩებში საღამოს ექვსი საათის შემდეგ ფრთხილად იყავითო. საქმე ის არის, რომ მელბურნში ლუდხანები საღამოს ექვს საათზე იხურება. ამ დროისათვის მამაკაცები ჩქარობენ, რომ ხელიდან არ გაუშვან დალევის შესაძლებლობა (ქალებს ბარებში არ უშვებენ). ექვსი საათის შემდეგ ავტომანქანების საჭეს მთვრალები უსხედან, და ქალაქში მოგზაურობა არანაკლებ საშიში ხდება, ვიდრე ნაღმიან ველზე სიარული. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ყველაზე ბევრი უბედური შემთხვევა სწორედ ამ საათებში ხდება. ამბობენ, რომ ამას წინათ დაისვა საკითხი — უფრო გვიან ხომ არ დაიხუროს ლუდხანები და ამრიგად, დაძაბული მოძრაობის საათებში ქალაქი მთვრალებისაგან განიტვირთოსო. ვიქტორიაში რეფერენდუმი გაიმართა. მისი შედეგი ქალებმა გადაწყვიტეს. მათ ხმა მიეცეს ლუდხანების დახურვას საღამოს ექვს საათზე. საბუთი მარტივი და დამაჯერებელი იყო: დიახ, მამაკაცები შინ მთვრალები მოდიან, მაგრამ ლუდხანები ექვს საათზე რომ არ დაიხუროს, შინ სულ ადარ მოვლენო.

მელბურნში ვინახულეთ ეროვნული მუზეუმი, რომლის უზარმაზარი დარბაზები სავსეა ცნობილ და უცნობ ფრინველთა და ცხოველთა ფიტულებით, მინერალებისა და ფანტასტიკურად უზარმაზარი პეპლების ნიმუშებით. ჩვენი მუზეუმის სიამაყე მარტო ეს როდიაო, გვეუბნება ჩვენი გიდი, იმპრესარიოს შვილი, ფრიად განათლებული ახალგაზრდა ავსტრალიელი ფილიპ ეჯლი და მინის დიდ ყუთთან მიდის. ყუთშია კაცის სიმაღლე ჯავშანი, რომლის ლითონის ზარადიდან ადამიანის თვალები შემოგვცქერის, იქვეა

ძველებური თოფი და ხმალი, შავგვრემანი მამაკაცის პორტრეტი წელს ზევით. გვერდით უზარმაზარ აკვარიუმში მშვენიერი ბედაურის ფიტუნია.

„სამე ის არის, რომ თვითეული ქვეყნის ისტორია და, თუ გნებავთ, ეროვნული სული განსახიერებულია ეროვნულ გმირებში. ინგლისში ეს არის რობინ ჰუდი, საფრანგეთში — ჟანა დ'არკი, — ხოლო ავსტრალიაში ეროვნული გმირი ორია. დიახ, ორი: ნედ კელი და ფარ ლაპი. ძნელია გადაწყვეტო, თუ ვის ეკუთვნის პირველი ადგილი...“

ნედ კელის შესახებ ჩვენ ზოგი რამ გვსმენია. ეს იყო განთქმული ყაჩაღი, რომელიც თავისებურად აცხადებდა პროტესტს არსებული წყობილების წინააღმდეგ. იგი თავზარს სცემდა მელბურნელ მდიდრებსა და პოლიციას. მისი სახელი ქუხდა მთელ ავსტრალიაში და შორს მის ფარგლებს გარეთ, მას ავსტრალიის უგვირგვინო მეფედ თვლიდნენ. ბოლოს იგი შეიპყრეს და გასამართლეს.

— ნედ კელი, აქ მე გისჯით სიკვდილს ჩამოხრჩობით, — უთხრა მსაჯულმა ბერნმ.

— ღმერთმა შეუნდოს თქვენს სულს.

— დიახ, ჩვენ იქ შევხვდებით ერთმანეთს, — მშვიდად უპასუხა ნედმა.

კელი იმავე დღეს ჩამოახრჩვეს მელბურნის საპყრობილის ეზოში, რომლის ვიშკის წინ იმ საბედისწერო საათში უამრავი ხალხი იყო თავმოყრილი. ნედის ჩამოხრჩობის ერთი კვირის შემდეგ კი მსაჯული ბერი საიკოს გიმგზავრა და ყველამ გაიხსენა კელის წინასწარმეტყველება: დიახ, ჩვენ იქ შევხვდებით ერთმანეთსო. ასე გახდა ცნობილი ყარაჩი ეროვნული გმირი — მის სახელს უმღერიან ავსტრალიელთა ლეგენდებსა და პოემებში.

— ვინ არის ავსტრალიის მეორე ან, თუ გნებავთ, პირველი ეროვნული გმირი? — გვეკითხება მისტერ ფილიპი. ჩვენ ცოტა არ იყოს უხერხულად ვგრძნობთ თავს. არც ერთმა ჩვენგანმა არ იცის ეს...

— ეს არის ფარ ლაპი, — დიდი ამბით წარმოთქვა ეჯლიმ და ცხენის უზარმაზარ ფიტულზე მიგვითითა. ალბათ



„ვოლობი“ — ასეთია ამ ცხენის სახელი. ეს ცხენი ავსტრალიელი ეროვნული გმირი, — და მღელვარებით მოგვითხრო ფარ ლაპის სახელოვანი ისტორია.

— ეს შესანიშნავი ბედაური ბევრ დღეში მონაწილეობდა და პრიზებში 67 ათასამდე გირვანქა სტერლინგი მოიგო. როგორც ხედავთ, ეს უზარმაზარი თანხაა. 1930 წელს ჩვენი გმირი ამერიკაში გაეგზავნა, და ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ იგი ყველა მეტოქეს უკან მოიტოვებდა. მაგრამ მოხდა უბედურება: ფარ ლაპი უეცრად გარდაიცვალა, ამბობდნენ მოწამლესო. გაზეთებმა ბედაურის სიკვდილი უზარმაზარი სათაურებით გამოაცხადეს. ეს ეროვნული ტრაგედია იყო.

გარწმუნებთ, რომ ავსტრალიაში ანტიამერიკული განწყობილების მთავარი წყაროა არა ზანგების დევნა და არა დალესის პოლიტიკის გაგრძელება, არა ამერიკის კაპიტალის შემოჭრა, არამედ ეჭვი, რომ მათ მიუძღვით ბრალი ფარ ლაპის იდუმალებით მოცულ, უეცარ დაღუპვაში.

შესანიშნავი ბედაურის ხსოვნა არ ჰკლნა ავსტრალიაში. ფარ ლაპი სათაყვანოდ გადაიქცა. აი რას წერს ცნობილი ავსტრალიელი მწერალი სირილ პირლი: „ეკონომიურად ავსტრალია ცხვარზე აზხედრებული მიდის, ემოციურად კი — ცხენზე. ავსტრალიის კავშირში ოფიციალური რელიგია არ არის, მაგრამ ცხენისათვის თაყვანისცემა ყველაზე გავრცელებული რელიგიაა ჩვეულებრივ ავსტრალიელებში. როცა მელბურნის იპოდრომზე დღიდა, ავსტრალია სულგანაბული ადევნებს მას თვალყურს, და კაცობრობას ჯერ კიდევ გამოსარკვევი აქვს, ვისი გულისათვის სჩადიან მეტ გმირობასა და საზიზღრობას — ქრისტესათვის თუ ფარ ლაპის „თამამმავალთათვის“.

ავსტრალიელებს დიდი მრავალფეროვნება როდი შეაქვთ თავიანთი თავისუფალი დროის გატარებაში: ბარი, ღამის კლუბი, პირუტყვისა და ძაღლების გამოფენები, რეგბის მატჩები და დოდი გაცელებით მეტ მაყურებელს იზიდავს, ვიდრე თეატრალური სანახაობანი, კინოცეკვა და თვით კინო. მაგრამ ჩვენი ანსამბლის კონცერტები ყოველთვის იზიდავს უაღრესად მრავალფეროვან აუდიტორიას. საბილეთო სალაროებთან და თეატრის ფოიეში არიან მსხვილი კაპიტალისტები, რომლებიც ავსტრალიის ფინანსურ ძალიერებას განასახიერებენ, დიპლომატები კანბერიდან, ქალაქის ბურუუები, მარდი მოხელეები, მუშები, მდიდარი ფერმერები მომიჯნავე რაიონებიდან. მათ თამამად უჭირავთ თავი, ყველაზე ძვირ ადგილებს ყიდულობენ. ასეთი ფერმერი გაბედულად მსჯელობს მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკაზე, უგულებელყოფს საგარეოპოლიტიკურ პრობლემებს. ამსუბრდად თვლის რაიმე სოციალური ცვლილების შესაძლებლობას.



ავსტრალია მხოლოდ შორიდან გეჩვენება აღთქმულ ქვეყნად. ახლოს იგი მკაცრი მხარეა. ყველაფერი, რაც ავსტრალიაში შექმნილია მშრომელი ადამიანის ხელით, მოპოვებულია სასტიკ ბუნებასთან, საშინელ სიცხესთან, ტყის ხანძრებთან ან კიდევ კოკისპირულ წვიმებთან, გამანადგურებელ წყალდიდობასთან, ზოგჯერ კენგურუსა და გარეულ ძაღლს დინგოს გამანადგურებელ შემოსევასთან ბრძოლაში. და როცა გვეკითხებოდნენ, ავსტრალიაში ყველაზე უფრო რა მოგეწონათო, ჩვენ წრფელი გულით ვუპასუხებდით: ყველაზე ღრმა პატივისცემის ღირსნი მშრომელი ადამიანები არიან.

მაგრამ დადგა ავსტრალიიდან წასვლის დრო. ჩვენი ანსამბლი ახალ ზელანდიაში მიდის. როგორც ჩვენი იმპრესარიო გვიამბობს, ახალზელანდიელები მოუთმენლად ელიან სახელგანქმულ ქართველ მოცეკვავეთა ჩასვლას.

გვემშვიდობებიან კეთილი მეგობრები — ავსტრალიელები. აქ არიან ადამიანები, რომლებიც გაუმლავდნენ რეაქციის უსასტიკეს იერიშებს და არ დახარეს მეგობრობის წმიდათაწმიდა დროშა.

გვემშვიდობებიან ავსტრალიელი რუსებიც:

— გადაეცით სალამი მოსკოვს, ლენინგრადს, კიევსა და თბილისს! გადაეცით სალამი მშობლიურ მიწას!

ჩვენმა ლაინერმა გამოსათხოვარი წრე გააკეთა მელბურნის აეროდრომის თავზე და კურსი ახალი ზელანდიისაკენ აიღო. მივფრინავთ ოკლენდში, მაგრამ ერთხელ კიდევ შევხვდებით ავსტრალიელებს ქალაქ პერტში.

გიორგი ასათიანი,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.
მელბურნი-ოკლენდი.
1963 წ. 17 აგვისტო.

სურათზე: საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის წევრები მელბურნის ეროვნულ მუზეუმში.

ფოტო ავტორისა.

მეგობროობის პაემანი

სოხუმი. (საკ. კორ.). ქალაქ გაგრის [illegible] ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის [illegible] დ. ნ. აიდიტმა და მისმა თანმხლებმა პირებმა — ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა სუდისმანმა, ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა ბარაკბაჰმა და სხვ. იმოგზაურეს აფხაზეთში. ისინი იყვნენ გუდაუთის რაიონის ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში და სასოფლო-სამეურნეო არტელ „დურიფშში“, სადაც დაათვალიერეს ზვრები, ხეხილის ბაღები და ჩაის პლანტაციები, დურიფშის კულტურის სასახლე, ესაუბრნენ კოლმეურნეებს, ამ სასოფლო-სამეურნეო არტელების თავმჯდომარეებს დ. გოგობერიშვილსა და ვ. ლაკოიას. ახალსოფლისა და დურიფშის მშრომელები გულთბილად შეხვდნენ ძვირფას სტუმრებს.

იმავე დღეს დ. ნ. აიდიტი და მისი თანმხლები პირები ჩამოვიდნენ აფხაზეთის ასსრ დიდაქალაქ სოხუმში, გაეცნენ მის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე დ. ნ. აიდიტმა დარგო მეგობრობის პალმა.

აფხაზეთში მოგზაურობისას ამხ. დ. ნ. აიდიტსა და მის თანმხლებ პირებს ახლდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. გ. იაკოვლევი და საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. თ. ბღაჟბა.

სურათზე: ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე დ. ნ. აიდიტი (მარცხნიდან მესამე) რგავს მეგობრობის პალმას.

ფოტო მ. ტარასოვისა.

ხელოვნების ქრონიკა

რუსთავი. (ხაკ. კორ.). ამ დღეებში საქალაქო კულტურის სახლთან არსებულმა სახალხო თეატრმა მორიგ პრემიერად უჩვენა მაყურებელს ლავრენტი ევის ცნობილი პიესა „ორვეკა“. ამ სპექტაკლში სცენის მოყვარულებთან ერთად კაპიტან ბერსენიევის როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ხორავამ.

ზაქათალის სახალხო თეატრის მსახიობები სამ დღეს დარჩნენ თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში, რომლის მოსახლეობა ძირითადად აზერბაიჯანელებია. მსახიობებმა კოლმეურნეებთან გამართეს ერთი კონცერტი და ორი სპექტაკლი; სტუმრებმა წარმოადგინეს სეიდ რუსტანოვის სპექტაკლი „ხუთმანეთიანი პატარძალი“.

ე. მეთოდიშვილი.

იქსოვეგა „ფიქრია“ და „თოლია“

რესპუბლიკის საფეიქრო საწარმოები მუშაობენ ახალი სტრუქტურის ქსოვილებისა და ტრიკოტაჟის ტილოების შექმნაზე. მომმხმარებლებს უეჭველად მოეწონებათ თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში დამზადებული ახალი საკოსტუმე და საკაბე ქსოვილები ლამაზი სახიანი ხლართით — „ფიქრია“ და „თოლია“. ამ ქსოვილებს ფაბრიკა გამოუშვებს შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის. ეს საწარმო დაიწყებს აგრეთვე მამაკაცის საპერანგე ახალი ქსოვილის გამოშვებასაც. მომავალი წლიდან კი დასახულია გამოუშვან ქსოვილები აცეტატის აბრეშუმის გამოყენებით. საცდელი ნიმუშები უკვე დაამშადეს. სულ ფაბრიკა აითვისებს ქსოვილთა ათ ახალ სახეობას — საკაბე-საკოსტუმე, საპერანგე და საკაბე ქსოვილებს.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატმა დაიწყო ახალი საკოსტუმე ქსოვილების — „სამგორისა“ და „ინგურის“ მამაკაცისა და ქალის საპალტო ქსოვილის „ბუკლეს“ გამოშვება. მომავალ წელა კომბინატი აითვისებს დრაფის „ყაზბეგის“ და კიდევ ათობით სხვადასხვა ახალ ქსოვილს. (საქდენი).

კაპაბლანკას ხსოვნის აღსანიშნავად

საერთაშორისო ტურნირი ჰავანაში საშაქრაკო სამყაროს ყურადღების ცენტრშია. იგი მიძღვნილია ცნობილი კუბელი მოშადრაკის ხოსე-რაულ კაპაბლანკას ხსოვნისადმი და უკვე ტრადიციულ ასპარეზობად ითვლება.

მიმდინარე წლის ტურნირი გამოირჩევა მასობრიობით, შემადგენლობის სიძლიერით. ამ დღეებში ჰავანას ეწვევნენ სსრ კავშირის, იუგოსლავიის, ინგლისის, ბულგარეთის, ბელგიის, ავსტრიის, ესპანეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების უძლიერესი გროსმაისტერები, ოსტატები. სულ ტურნირში მონაწილეობს 22 მოშადრაკე, მათ შორის 11 გროსმაისტერი, 5 საერთაშორისო ოსტატი და 6 ოსტატი.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირიდან შეჯიბრებაში გამოდიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი, სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. კორჩნოი და გროსმაისტერი ე. გელერი.

კაპაბლანკას ხსოვნის ტურნირი საზეიმოდ გაიხსნა. კუბის სპორტისა და ფიზიკური აღზრდის ეროვნული ინსტიტუტის დირექტორმა ხოსე ლანუსმა განაცხადა: კაპაბლანკას სიკვდილთან ერთად კუბაში შადრაკი მოკვდა. მხოლოდ რევოლუციის შემდეგ აღორძინდა ჩვენში შადრაკი და ახლა სპორტის მასობრივი და პოპულარული სახეობა გახდა.

წილისყრის შემდეგ ტურნირის მონაწილენი ბრძოლაში ჩაებნენ.

პირველ ტურში **გელერმა** მოუგო **კალეროს, კორჩნოიმ — კობოს, ივკოვმა — გარსიას, ორტეგამ — დე გრეიფს, პერესმა — ბროდერმენს, ბობოცოვმა — რობაჩს. დარგა-ტრიფუნოვიჩისა** და **ახმან-ტალის** შეხვედრები დამთავრდა ყაიმით. **ხიმენეს-ბარცას, ლეტელიე-ო' კელისა** და **ულმან-ვეიდის** პარტიები გადაიდო.

ფინიში პლივის ტბაზე

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით საბჭოთა სპორტსმენების ჩემპიონზე. საინტერესო აღმოჩნდა ორადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობა ქალთათვის. მთავარი ბრძოლა წარიმართა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელთა შორის. მართალია, მათ ერთდროულად გადაკვეთეს ფინიშის ხაზი, მაგრამ ფოტოფინიშმა ცხადყო, რომ პირველობა ხვდათ გერმანელებს.

ფოტოფინიშმა გამოავლინა გამარჯვებული ავრეთვე ბაიდარებით ესტაფეტაში 4×500 მეტრზე ვაჟთა შორის. აქ უძლიერესები რუმინელი სპორტსმენები იყვნენ. ჩვენმა ნიჩბოსნებმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

ჭაბუკთა შორის ერთადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობაში 500 მეტრზე უძლიერესი იყო საბჭოთა სპორტსმენი მატეევი.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ოლიტაცეს დი სტეფანო

კარაკასი 27 აგვისტო. (საკადესი). შეადგინ ესპანეთის საელჩოს შენობასთან კარაკასში გაჩერდა ავტომობილი, სადაც ადამოვიდა კაცი, რომელიც გულთბილად გამომშვიდობა თანამგზავრებს და მანქანა დაიძრა. მგზავრი შევიდა საელჩოში. ეს იყო სახელგანქმული ესპანელი ფეხბურთელი დი სტეფანო, რომლის მოულოდნელი მოტაცების ამბავმა ააღელვა წინა დღეს მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ფეხბურთის მოყვარულები.

მადრიდის „რეალის“ „ვარსკვლავი“ კვლავ თავისუფალია. და იმ წამსვე კვამლივით გაიფანტა ჭორი, რომელიც ამ დღეებში გაავრცელეს ზოგიერთმა ბურჟუაზიულმა ჟურნალისტმა და დეპეშათა საგენტომ იმის შესახებ, ვითომ დი სტეფანო მოტაცეს, რომ მიეღოთ ფულადი გამოსასყიდი.

ცნობილი ფეხბურთელი მოიტაცეს არალეგალურმა რევოლუციონერებმა. ბეტანკურის დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლები ამით იზრუნეს, ეროდნენ მიეპყროთ ყურადღება თავიანთი ბრძოლისადმი, ეჩვენებინათ მთელი მსოფლიოისათვის, რომ ვენესუელის ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიაღწიოს თავისუფლებას. წინააღმდეგობის არალეგალური ფრონტი საკმაოდ ძლიერია, თუ მისმა წევრებმა დღისით — მზისით სასტუმროდან, რომელიც სავსეა პოლიციის აგენტებით, შეძლეს მოეტაცნათ ჩამოსული სახელგანქმული ფეხბურთელი.

დი სტეფანოს მოტაცება ვენესუელელი პატრიოტების ბრძოლის კიდევ ერთი აქტია. გაგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის თებერვალში არალეგალურმა ჯგუფმა ხელი იგდო და ბრაზილიაში წაიყვანა ვენესუელის ხომალდი — ტანკერი „ანსოატეგი“. როგორც საქმეში ჩახედული პირები ამტკიცებენ, „ანსოატეგის“ მოტაცების ერთ-ერთი მონაწილე მეთაურობდა ფეხბურთელის მოტაცების ოპერაციასაც.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ

28 აგვისტო

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — ახალი ამბები, 18.15 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.55 — განცხადებები, 19.00 — კინოჟურნალი, 19.10 — საუბარი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემაზე, 19.30 — კინონარკვევი, 19.40 — გადაცემა ციკლიდან — „დღეები და ადამიანები“, 20.00 — გადაცემა — „დიდი თეატრის სოლისტები — სტრუჩკოვა და ლაფაური“, 21.00 — მხატვრული სატელევიზიო ფილმი „სინდისი იღვიძებს“ (მესამე სერია), 22.30 — ახალი ამბები.

28 აგვისტო

ᲙᲘᲜᲝ

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, ისანი (საზამთრო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **საქართველო** (საზაფხულო), **კიროვის სახელობის პარკი, გაზაფხული, კოსმოსი** — ინდოეთის ახალი ფილმების ფესტივალი, **ისანი** (საზაფხულო), **ოფიცერთა სახლი** — სამი მუშკეტერი (I-II სერია), **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **კოლხიდა** (საზაფხულო), **ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **თანამგზავრი** — სიცოცხლე ბედნიერების გარეშე, **თბილისი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **კოლმეურნე, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, ნაკადული** — საშა, **კომკავშირელი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზამთრო), **კომუნარების ბაღი** — სამი პლუს ორი.

29 აგვისტო

პირველი პროგრამით

06.40 — ქართული ხალხური სახუმარო სიმღერები, 08.25 — პოპულარული კამერული მუსიკა, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.45—ჯონსი. ფანტაზია ოპერეტა „გეიშას“ თემებზე, 11.15 — კონცერტი ფრანგ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან, 12.10 — გადაცემა — „თელავის საცდელ სადგურში“, 12.25 — მხატვრული თვითმოქმედებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონცერტი, 13.40 — ლიტაური ხალხური მუსიკა, 17.15 — სიმღერები და-ძმა კირვალიძეების შესრულებით, 17.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ლ. ტოლსტოის მოთხრობა „კავკასიის ტყვე“ (გადაცემა მეორე), 18.10 — მუსიკალური რადიოვიქტორინა, 18.45 — ო. გორდელი. კონცერტი ფლეიტისა და ორკესტრისათვის, 19.30 — საუბარი: „მშვიდობიანი თანაარსებობა და კლასობრივი ბრძოლა“, 20.15 — რ. ვაგნერი. ოპერა „ვალკირიების“ მონტაჟი, 23.30 — ქართული გასართობი მუსიკის კონცერტი.

მეორე პროგრამით

20.00 — რუბინშტეინის რომანსები, 20.15 — საუბარი — „ალექსანდრე ხრამლოვის პირადი რეზერვები“, 20.30 — საესტრადო კონცერტი, 21.30 — ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ ფურცლებზე.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

(ა.ჟ. წერეთლის პროსპ. № 2)

30 აგვისტოს

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასის გუნდებს შორის **„დინამო“** (თბილისი) — **„ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ“** (ერევანი)

დასაწყისი 17 ს. და 45 წ.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა წარმოებს **„დინამოს“** სტადიონის სალაროებში აბონემენტებით 28 და 29 აგვისტოს 12-დან 19 საათამდე, საერთო გაყიდვა 30 აგვისტოს 11 საათიდან.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 8-08-67 პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61 მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. დ. სკოლების — 4-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების — 9-94-42.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

უე 11580

უკაბინო ლიფტი

სიახლენი საგინაო მშენებლობაში

როცა საბჭოთა მოქალაქეებს ახალ ბინებს აძლევენ, აუცილებლად ითვალისწინებენ ასაკს და ჯანმრთელობის მდგომარეობას. ამიტომ ათასობით საცხოვრებელი სახლის ზედა სართულებში ახალგაზრდობას ასახლებენ. მაგრამ გადის წლები, ახალდასახლებულნი უკვე ძველი მობინადრენი ხდებიან, და მათ უჩნდებათ ნორჩი თაობა, რომლის საბავშვო ეტლებით აყვანა ზედა სართულებში იოლი საქმე როდია. თანაც ახალგაზრდა ოჯახებში ხშირად სახლდება ფრიად მნიშვნელოვანი და საჭირო პირი — დიდედა, რომლისთვისაც მეოთხე და მეხუთე სართულები ოთოქმის მონბლანია.

ძველ და ახალ ნაშენ ბევრ სახლში ლიფტები შუშაობს. მაგრამ ეს ეხება სახლებს დაწყებული ხუთი სართულის სიმაღლიდან, ისიც იმ შენობებს, რომლებშიც ლიფტის დადგმა ხერხდება. ხოლო ლიტფტების დადგმა ათეულ ათასობით ოთხი და ხუთსართულიან სახლებში მიზანშეუწონელია, ზოგჯერ კი შეუძლებელიც არის. მაგრამ ამ სახლებშიც ხომ ბევრი ისეთი ადამიანი ცხოვრობს, რომლებსაც კიბეზე ასვლა უჭირთ. ხომ არ შეიძლება დავეხმაროთ მათ?

ამ ამოცანის გადაჭრას ხელი მოჰკიდა ლენინგრადელმა მეცნიერმა, პროფესორმა ანდრია კოლჩინმა. მან გამოიგონა, გააკეთა და წარმატებით გამოსცადა ფრიად ორიგინალური და მოხერხებული „უკაბინო ლიფტი“ — დახრილი კიბური ამწე, რომელიც შეიძლება ყოველ სახლში გაკეთდეს.

კიბის პირველ მარშთან მიდიხართ და მოაჯირთან თითს აჭერთ ენთს. იქვე მოაჯირიდან გადმოიშლება პატარა სიბრტყე. როგორც კი დადგებით ამ სიბრტყეზე, იგი იწყებს ნელა აწევას მაღლა, როგორც მეტროს ესკალატორის საფეხური.

მაგრამ აი შემდეგი ბაქანი. საფეხურიდან ჩამოდიხართ და ხედავთ, რომ შემდეგ მარშზე უკვე გელოთ ასეთივე საფეხური. დადგებით ზედ